სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება N 28

ქ. ბათუმი 05 აგვისტო 2020წელი

ერთის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ხელვაჩაურის კულტურის ცენტრი ს/კ (445573451) (შემდგომში ,,შემსყიდველი”) წარმოდგენილი დირექტორის, ნინო ფაღავას სახით და მეორეს შპს „BS METAL GROUP” ს/კ 445414212 (შემდგომში ,,მიმწოდებელი”) წარმოდგენილი დირექტორი რომან გუნდაძე ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]” ქვეპუნქტის, ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სამღებრო მასალების და სატრანსპორტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვას დანართი 1_ის შესაბამისად,

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 989,23 (ცხრა ას ოთხმოცდაცხრა და ოცდასამი) ლარი.
2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
2.3. მომსახურების რაოდენობა, ერთეულის ფასი და საერთო ღირებულება განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ მოწოდებული სასაქონლო ზედნადების თანახმად .

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
3.2. ანგარიშსწორებაგანხორციელდებახელშეკრულებითგათვალისწინებულიფაქტიურადმოწოდებული საქონლისშესაბამისიმიღება–ჩაბარებისაქტისდაშესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტისწარმოდგენისშემდეგ 15 (თხუტმეტი) სამუშაოდღისგანმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 მომსახურების მოწოდების სრულად დასრულების შემდეგ მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტს.
4.2 <u>მომსახურების მოწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2020 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით.</u>

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დ
როს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
ბ) მოსახურების მოწოდების დარსულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.
5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მოწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

6.1. შემსყიდველის მხრიდან მოწოდებული საქონლის ინსპექტირებას/შემოწმებას და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ხელვაჩაურის კულტურის ცენტრის დირექტორი ნინო ფაღავა.
6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მოწოდებული მომსახურების ხარისხის კონტროლს.
6.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების პირობების შეუსრულებლობის ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის, ასევე ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებებზე უარის თქმის შემთხვევაში, რაც გამოიწვევს ხელშეკრულების დროზე ადრე შეწყვეტას "მიმწოდებელს" ეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტის ოდენობით.
7.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.
7.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
8.5. მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
9.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და <u>მოქმედებს 2020 წლის 10 ნოემბრის ჩათვლით</u>.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი“	,,მიმწოდებელი“
ა(ა)იპ ხელვაჩაურის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი მის: ქ.ბათუმი დიდაჭარის #25 s/k: 445573451 სახელმწიფო ხაზინა ტელ/მობ: 599 85 14 62	შპს „BS METAL GROUP” ს/კ 445414212 ს:ქ. ბათუმი აეროპორტის გზატკეცილი N22 ტელეფონი : +995422271919 საქართველოს ბანკი BAGAGE22 ანგ.ნომ GE39BG00000000768224200
დირექტორი: ნინო ფაღავა	დირექტორი: რომან გუნდაძე

დანართი1

ფასების ცხრილი

#	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი	CPV კოდი
1	თაბაშირ მუყაოს ფილები 1200X2500X12.5 ონატ ალჩი	ცალი	30	11	330	44111700
2	C.D პროფილი 0.32 3 მ	ცალი	12	3.1	37.2	44334000
3	VIOLA PRIMA ALMIRA SILIKONLU MAT 20 KG (გრუნტი)	ცალი	1	112,35	112,35	44111400
4	კედლის გრუნტი 1კგ	ცალი	5	7.49	37,45	44111400
5	წებვადი ლენტი	ცალი	2	4.9	9.8	44424200
6	3,5X25-12000 თვითმჭრელი თაბაშირ მუყაოს განიერი ხრახნით (1000 ცალი)	შეკვრა	1	11.52	11.52	44531300
7	4,11 დუბელ- ლურსმანი 6X35 (100C)	შეკვრა	1	4.97	4.97	44192200
8	ლილვაკის დეკორის 25 სმ	ცალი	3	7.98	23.94	39224210
9	სამშენებლო ბათქაში SATEN AICI 25კგ ტომარა	ცალი	4	10.5	42	44111200
10	ცემენტი 32,5 ტრაპიზონი oltulural	ტონა	1.5	240	360	44111200
11	სატრანსპორტო მომსახურება	ცალი	1	20	20	63110000
	ჯამი				**989.23**	

შემსყიდველი“

ა(ა)იპ ხელვაჩაურის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი
მის: ქ.ბათუმი დიდაჭარის #25
s/k: 445573451

დირექტორი: ნინო ფაღავა

NNLE Khelvachauri Cultural and Art Center

Подписано цифровой подписью: NNLE Khelvachauri Cultural and Art Center
DN: cn=NNLE Khelvachauri Cultural and Art Center, 2.5.4.97=NTRGE-445573451, o=• (•)•• ••••••••••• ••••••••• •••••••••••• ••••••, c=GE
Дата: 2020.08.07 09:45:40 +04'00'

,,მიმწოდებელი“

შპს „BS METAL GROUP”
ს/კ 445414212
მის:ქ. ბათუმი აეროპორტის გზატკეცილი N22
ტელეფონი : +995422271919
საქართველოს ბანკი
BAGAGE22
ანგ.ნომ GE39BG00000000768224200

დირექტორი: რომან გუნდაძე

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ხელვაჩაური 05 აგვისტო 2020წელი

`სახელმწიფოშესყიდვებისშესახებ~ საქართველოსკანონისმე-8 მუხლისშესაბამისად, ჩვენ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა ა(ა)იპ ხელვაჩაურის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის (ს/კ:445573451) დირექტორი ნინო ფაღავა და შპს „BS METAL GROUP'-ის' ს/კ 445414212 დირექტორის რომან გუნდაძეს შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №28 ხელშეკრულებით განსაზღრული შესყიდვის განხორციელებაში (გამარტივებული შესყიდვა) არ იწვევს ინტერესთა კომფლიქტს.

ა(ა)იპ ხელვაჩაურის კულტურისა და ხელოვნების

ცენტრის დირექტორი ნინო ფაღავა

შპს „BS METAL GROUP"

დირექტორი : Roman Gundadze Digitally signed by Roman Gundadze Date: 2020.08.06 18:53:34 +04'00' რომან გუნდაძე